სატრანსპორტო მომსახურების ხელშეკრულება 59

ბათუმი

12 ივლისი , 2016 წელი

ერთი მხრივ, შპს საფეხბურთო კლუბი ზუგდიდი (ს/კ 220370738 შემდგომში – „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ინალიშვილის სახით და მეორე მხრივ, სს „მეტრო ჯორჯია“ (ს/კ:445410635, შემდგომში – „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორების, რობერტ ფერდმანის და მიხეილ დობორჯგინიძის სახით ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ანაზღაურების წესი:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაურის სანაცვლოდ შემსრულებელმა უნდა განახორციელოს დამკვეთისთვის სატრანსპორტო მომსახურების გაწევა წინასწარ შეთანხმებული მარშუტისა და გრაფიკის შესაბამისად, კერძოდ 2016 წლის 16 ივლისს უნდა უზრუნველყოს ზუგდიდი-ტრაბზონის და 2016 წლის 29 ივლისს ტრაბზონი-ზუგდიდის მიმართულებებით მგზავრთა გადაყვანა (შემდგომში – „მომსახურება“)

1.2. შემსრულებლის მიერ მისაღები მომსახურების საფასური, დამატებითი გადასახადების ჩათვლით განისაზღვრება 3540 (სამი ათას ხუთას ორმოცი) ლარის ოდენობით, თანხის გადახდა დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს წინასწარ შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

2.1. შემსრულებელს უფლება აქვს:

2.1.1. დამოუკიდებლად განსაზღვროს მომსახურების ფორმები და მეთოდები მოქმედი კანონების, ნორმების და სტანდარტების, დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების პირობებისა და პროფესიული გამოცდილების საფუძველზე;

2.1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2.2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.2.1. კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში შეასრულოს დაკვეთა;

2.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პასუხი აგოს მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი ქმედების შედეგზე.

2.3. დამკვეთი ვალდებულია:

2.3.1. მოახდინოს შემსრულებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვადებში;

2.4. დამკვეთი უფლებამოსილია:

2.4.1. მოსთხოვოს შემსრულებელს სამუშაოს დროული და ჯეროვანი შესრულება;

2.5. თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად და აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ბრალეული მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული ზიანი.

მუხლი 3. სადავო საკითხების განხილვა

3.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავის გადასაწყვეტად, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოებს განსჯადობის მიხედვით.

მუხლი 4. სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

4.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემსრულებელთან, ხოლო ერთი გადაეცემა დამკვეთს.

მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსრულებელი" სს „მეტრო ჯორჯია" მისამართი: ბათუმი, გოგოლის ქ. №1. ს/კ:445410635 დირექტორი: მიხეილ დობორჯგინიძე _____ რობერტ ფერდმანი _____	*„დამკვეთი"* შპს საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი" მისამართი: ზუგდიდი მცხეთის #17 ს/კ 220370738 დირექტორი: გელა ინალიშვილი _____